



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030111172408422

№ 01-12/ო

13 / იანვარი / 2022 წ.

„რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით კომისიის შემადგენლობის, მისი საქმიანობის პრინციპების, მომსახურების მოცულობის, დაფინანსების მექანიზმისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 24 ნოემბრის N01-469/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 24 ნოემბრის N01-469/ო ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ზურაბ აზარაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ილია ღუდუშაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;“.

2. მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ზურაბ აზარაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ილია ღუდუშაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;“.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი